

# დროება

რედაქცია: სოლომონი, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განსხვავდება: დიდსაწყობით ასობზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

უკველ დღე ორშაბათის ბარდა

## განცხადება

ოთხშაბათს, 14 ჟიორგოპისთვის

მართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება ოფიცისის სახაფხულთა თეატრში:

I

### როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიოს

ბომბედი სამს მოქმედებად ბოლოდონისა, გადმოკეთებული იტალიურიდან

II

### ხასიათი გადავაკეთე

ზოდვეილი ერთ მოქმედებად მართველოვისა

ანტრაქტში პირველი პიესის შემდეგ გაზუნისა ჭალი იმ დერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, ბოლოდონის პროსპექტზე.

დაიწყება 7<sup>1/2</sup> საათზე. (3—3)

ორი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ჭალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ დღისით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროება“.

ფასი ორი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 ნომბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—ორი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ოღესსა, 10 ნოემბერს. დღეს მოვიდა

აქ სტამბოლიდამ რუსის ელჩი თ. ლობანოვი-როსტოვსკი და დღესვე ვენაში წავიდა.

სტამბოლი, 10 ნოემბერს. აღმოსავლეთ რუმელიის გამგებელი თ. ბოგარიდი დღეს ბრუნდება აქედამ რუმელიაში; იმის სიტყვებმა დაამწიფილობა ხონთქარი.

ჩერნოგორიამ გამოუცხადა ოსმალეთის მმართველობას, რომ, თუ 15 ნოემბრამდინ არ ჩაგვაბარეთ ბუსინიეს მაზრა, ჩვენ ძალით დავიპყრობთ იმასა.

ტყუილია ის ამბავი, ვითომც ბეკკერფაშათაის მოადგილედ, მთავარ-მმართველად დაენიშნოს ხონთქარს მცირე აზიაში.

დუბლინი, 10 ნოემბერს. ბუშინ საღამოს ერთს აქაურ ზალაში იყო მიტინგი, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო; მიზანი კრებისა იყო ის, რომ უკმაყოფილება გამოუცხადონ ინგლისის მმართველობას ზოგიერთ ირლანდიელების დატუსაღებისათვის; მიტინგმა რამდენიმე გადაწყვეტილება დასდვა,—სხვათა შორის: ეს დატუსაღება უკანონოა, კონსტიტუციის წინააღმდეგი და ამგვარი მოქმედებით მთავრობას შეუძლია კანონის ნდობა და პატივისცემა მოსპოს ხალხში. მიტინგმა მოიწვია ირლანდიელები, ყველა კანონიერი და კანონტიტუციური საშუალებით გამოუცხადონ მთავრობას თავის უკმაყოფილება იმის მოქმედებაზედ.

## საქართველო

თვ. ჭალაქის რევიის სხდომა 12 ნოემბერს

ბუშინდელს სხდომაზე ჭალაქის თავმა გამოუცხადა ჭალაქის რევიას, რომ მომავალ წლის 19 თებერვალს შესრულდება 25 წელიწადი ხელმწიფე იმპერატორის მეფობისაო და რიგიაო, რომ, როგორც დანარჩენი რუსეთის ქალაქები

იღღესასწაულებენ ამ დღეს, ისე ჩვენც რითიმე ვიღღესასწაულოთო. უფ. ძალაქის თავმა მისცა რევიას წინადადება, რომ დანიშნონ კამისია, რომელსაც მიანდონ—თუ როგორ გადაიხადოს ქალაქმა ოფიცისმა ეს დიდებული დღესასწაული.

რადგან ყველა ხმოვანები თანახმანი იყვნენ ამ წინადადებისა, ამის გამო იქვე ამოირჩიეს თავის შორის ხუთი კაცი ხსენებული კომისიისათვის: უფ. სტატკოვსკი, ანტ. შორლანოვი, პ. ბამბაროვი, ზალცმანი და ისაი შითოევი.

შემდეგ ყველაზე უფრო საინტერესო საგანი, რომელზედაც ხანგრძლივი ბაასი ატყდა კრებაში, იყო ხარჯის მომატება საშენი და საშეშე ტყეების ტივებისა. მოგვეხსენებათ, რომ ამას წინათ ერთს სხდომაში შემოიტანა ჭალაქის ბამგეობამ ეს წინადადება; მაგრამ რევიამ მაშინ უარ-ჰყო. ახლა კი კენჭის-ყრით მიიღეს უფ. ხმოსანის სტატკოვსკის წინადადება, რომ ყოველ საშენ ტივის ხეზე, ორი შაურის მაგიერ, რომელიც ახლა ხდება, დაიდვას ექვსი შაური გარდასახადი, და შემის ტივის ხეზე, შაურის მაგიერ, ორი შაური.

რევიამ მიიღო ბოლოს ბამგეობის წინადადება, რომლის ძალითაც ფაეტონებისა, დროშებისა და სხვა ამგვარი ეკიპაჟების გადასახადი მომავალ წლისთვისაც დარჩეს იგივე, რაც ამ წამად არის, ე. ი. წელიწადში 15 მან., ტარების, პავოზების და სხვა ამისთანა ტვირთის საზიდავ საშუალებებისათვის კი წელიწადში 5 მან.

## დღიური

\* \* \* \* \* ბაზეთს „პაეკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრაფი, რომელიც ამ თვის 7-ს მიუღია გზის მინისტრისაგან ქაეკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს შტროს:

„ჭალაქს რევიის გზის გაკეთება უმაღლესად გადაწყდა და დამტკიცდა 22 ოქტომბერს. ამ წამად, მინისტრთა კომიტეტის წინადადების ძალით, არის განხილვა ბათუმის რევიის გზისა. ტყიბუ



ლის რკინის გზის რტოს გაყვანა ამ ახლო ხანში იქნება განხილული“.

დენერალ-ადიუტანტი პოსიეთი.

\* \* \* „ძვეკაზის სამასწავლებლო მაზრის სიბრძნის“ მე-9 ნომერში დაბეჭდილია ზოგიერთი საინტერესო ციფრები იმის შესახებ—თუ რამდენი რუსი, ქართველი, სომეხი და სხვა გვარ-ტომის ხალხის ყმაწვილი-კაცები ათავებენ ჩვენს გიმნაზიებში მუდამ წელიწადს კურსსა. ამ ციფრებიდან სჩანს, რომ ათს კაცში წელიწადში ოთხზე მეტი რუსი ათავებს კურსს, სამზე მეტი სომეხი და მხოლოდ ერთი ქართველი და სხვა გვარ-ტომის ყმაწვილი-კაცები!

ზოგიერთები ამტკიცებენ, ასე ცოტა ქართველები საქართველოს გიმნაზიებში იმიტომ ათავებენ კურსსაო, რომ ქართველი ხალხი საზოგადოთ ღარიბი ხალხია და ვერ ახერხებენ თავის შვილების გამოზრდასაო. იქნება ერთის მხრით ეს მართალი იყვეს; მაგრამ მეორეს მხრით ისიც არ შეიძლება არ ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სიღარიბეზე უფრო ქართველ ყმაწვილებს აბრკოლებს ის სწავლის სისტემა, რომელიც ჩვენს გიმნაზიებში არის ამჟამად მიღებული. ასწავლეთ თავიდამვე ყმაწვილს თავის გასაგებს სამშობლო ენაზედ, გაუგებარ სიტყვებისა

და ლოცვების ზვირობით თავიდამვე ნუ დაუჩვენებთ ტენს, ნუ აუცრუებთ გულსა და დარწმუნებული იყავით, რომ რამდენიც ახლა ათავებს კურსს, სამი, ოთხი და ათი იმდენი გაათავებს; აღარ იქნებიან მაშინ იძულებული 12—14 წლის ყმაწვილები, რომ ლათინური გრამმატიკისა და სლოგანური ლოცვების ზვირობით გამოჩრეტაინებულები გამოვიდნენ გიმნაზიიდან და სამუდამოთ შეიძულონ სწავლა-განათლება...

\* \* \* მომავალი წლიდან მეორე ყოველდღიური გაზეთი ემატება თფილისის სომხურ დრო-გამოშვებით ლიტერატურას: გაზეთი „მელუ პიასტანი“, რომელიც ამჟამად კვირაში ორჯერ გამოდის, 1 იანვრიდან მუდამ დღე დაიწყებს გამოსვლას.

ამნაირად სომხებსა აქეთ ამჟამად თფილისში; ორი ყოველ-დღიური გაზეთი („მშაჟ“ და „მელუ“), ერთი თვიური ჟურნალი („ზორცი“), ერთი პედაგოგიური ჟურნალი („ტპროწ“) და ერთი ცკვირის ჟურნალი („სომხური თეატრი“). ჩვენ, ქართველებს, კი გვაბადია მხოლოდ ერთი დღიური გაზეთი და ერთი თვიური ჟურნალი; „სასოფლო ბაზეთი“ ხომ ცოცხლების რიცხვში აღარ ჩაითვლება...

„დროების“ კორექტორ-დამცვენი

გურიი, 5 ნოემბერს. ზურიაში სადაც უნდა გახედოს კაცმა, ყოველ საზოგადოებაში დაინახავს კანცელარიის მანლობლად აშენებულს სასიძინდე მალაზიას, და თუ ახლოს მივიდა, ნახავს, რომ ის ტყუილი და უსარგებლო შენობა ყოფილა, ყოფილა მხოლოდ შინაგულისათვის და არა მართლა სიძინდის შესანახად. ზოგიერთებში ნახავთ სიძინდის ნამყოფს, მაგრამ დღეს კი გამქრალა და რომ ჰკითხო იქაურ გლეხებს, სიძინდი სად წაიღეთ, ანუ რაში მოიხმარეთო, ისინი ვერას გიპასუხებენ ამაზედ და თუ გიპასუხებენ, აი რას გეტყვიან: „ჩვენ, ბატონო, ვინ გვკითხავს ამის ანგარიშს? მანა ცოტანი არიან მაგის გამსაღებელიო“ და სხე.

მთელი ზურია რომ დაიაროთ, ვერც ერთ სიძინდის მალაზიას ვერ იპოვით რიგიანად ნაწარმოებს, ვერ ნახავთ ანგარიშს და ვერ გაიგებთ, თუ როგორ წარმოებდა იმათი საქმე რამდენიმე წლის განმავლობაში.

მაგალითად, ძიმითის სასოფლო სიძინდის მალაზია ავიღოთ: ის არის დაარსებული 1869 წელს. ძიმითის საზოგადოებაში არის სულ 450 კომლი გლეხები და, რომ ქვირე-ობლები და შეუძ-

ფელტონი

ქართული წარმოდგენები მითხრამთხე საუკუნეში

მანსვენებულს სოფრონი მესხივეს მეტეხის დეკანოზს და განსვენებულს ტარასი არხიმანდრიტსა უამბნიათ ამ საგანზე; მაგრამ რაც ამათ უამბნიათ, თეატრის შესახებ, ისიც მხოლოდ გავიანილი თავიანთი გვარის კაცისაგან, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორის ღვეით ცუკიასაგან (მესხივეისაგან), რომელიც ყოფილა მომსწრე იმ დროებისა, და მონაწილეობის მიმღებიც თფილისში და თელავში წარმოდგენების გამართვაში.

ღვეით რექტორი 1793 წელს დაესწრო შემთხვევით თფილისს, სადაც მას უნდა წარმოედგინა მთელი ძახეთის ეტნოგრაფიული აღწერა და აგრეთვე თავად და აზნაურთ გლეხების კამერალიური აღწერა. მს აღწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ლაპარაკის დროს უნდა წარედგინათ რუსეთისთვის.


დღევანდლამდის, როგორც ჩვენს სალიტერატურო ისტორიაში, აგრეთვე სამოქალაქოშიაც, ისე იხსენიებენ და ისეც რჩება, რომ ვითომც ქართველებმა 1849 წლამდის თეატრალურ საქმებისა არაფერი იცოდნენო, არც კომედიები ჰქონდათ და არც რამ სხვებიო; მაგრამ როდესაც განსვენებული თ. ბიორგი მრისთავი გამოვიდა ქართულ თეატრის გამმართველად თ. მორონცოვის ქამს, მაშინ კი ყურადღება მიექცეის ამ საქმეს და, თ. მორონცოვის შემწეობით და ზოგიერთი მაშინდელი ქართველი ახალგაზდა პირების დახმარებით, დაიწყეს პიესების წერა და წარმოდგენების გამართვაო 1849 წლიდან 1854 წლამდისაო.

პირველი ქართული წარმოდგენა საქართველოში მეფე ირაკლის ქამს გაუმართავთ ჯერ მესხიანთ სახლში, შემდეგ მრბელიანთსა და ბოლოს მელიქიანთა. მს ხშირად უამბნია განსვენებულს მღვდელს იოსებ მეშიშ-დარდიმანდსა, რომელიც იყო კარის მღვდელი სარდალი იოვანე მრბელიანისა და მონაწილეობის მიმღები ამ თეატრალურს საქმეში.

ამაზე ხშირად ჰქონია საუბარი აგ-

რეთვე თ. ალექსანდრე მრბელიანსაც, რომელიც ერთს თავის წერილში იხსენიებს, რომ მეფის ირაკლის ქამს თფილისსა და თელავში ქართული წარმოდგენები იმართებოდა ხოლმეო. ბარდა იმ ცნობებისა, რაც მის წერილშია დაბეჭდილი, მას ჰქონია კიდევ სხვა სტატია, რომელიც 1859 წ. პიატიგორსკი-დამ გამოუგზავნია „სისკრის“ რედაქციაში, მაგრამ წერილი გზაში დაკარგულა და დარჩენილა დაუბეჭდავი. მსეც რომ არ იყოს, ხშირად ჰქონიათ ხოლმე სჯა 1830 წ. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ტარასი არხიმანდრიტს, სოფრონი მეტეხის მღვდელს მესხივესა, რომელიც ისეთი მოყვარე ყოფილა თეატრის საქმეებისა, რომ მღვდელს პიესებიც უწერია; სხვათა მრავალთა მისთა თხზულებათა გარდა მას დაუწერია ერთი ტრაგედია „შვარყვარე ათაბაგი“ (1843 წ.).

მს „შვარყვარე ათაბაგი“ მან გარდასცა თ. ბიორგი მრისთავს და მიანდო მას, რომ მას თავის სახელით დაებეჭდა ჟურნალს „სისკარში“ და 1853 წლის ნომერებში უკვე დაიბეჭდა კიდევ 1790 წლებში საქართველოში წარ-



ლებელი კომლნი გამოვტოვოთ, მაინც დარჩება 350; პირველ მაღაზიის დარსებობისა თითოეულმა კომლმა შაიტანა მაღაზიაში სამ-სამი ფუთი სიმინდი და, საზოგადო ყრილობის გარდაწყვეტილებით, ეს სიმინდი უნდა მცხოვრებლებზე გასეხებულიყო ათი ფუთი თერთმეტ ფუთად და როცა ხალხი ახალ მიმუშევარს მოაგროვებდა, მაშინ უეჭველად უნდა გარდაეხადა სარგებლით. ამ მაღაზიიდან სიმინდის გატანა არ შეეძლო გარეშე საზოგადოების მცხოვრებთ.

მრთი წლის განმავლობაში პირველ დარსებებზე ეს მაღაზია წავიდა ისეთ კვალზე, რომ ყველას სასიამოვნოდ მიგვაჩნდა იმისი გაძლიერება, და დღე-ღღეზედ ვცდილობდით, რომ კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა იმისი მოქმედება. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ამ ცდამ და სინარულმა უქმად ჩაგვიარა; იმედი დაგვეკარგა იმისგან სარგებლობისა და უსაფუძლო გარემოებამ შეუჩრყია ფენი მის წარმატებას.

ჩვენმა აღმორჩეულმა მაღაზიის მომვლელმა და 1872 წლის აღმორჩეულმა მამასახლისმა ყრილობის დადგენილი განჩინებები სულ შესცვალა: მისასხეს სიმინდი ყველა წოდების ხალხს გარეშე საზოგადოებისა და სიმინდი, რომელიც თავნით და სარგებლით უნდა შემოეტა-

ნათ მაღაზიაში იმის ნაცვლად ფული გარდაახდევინეს და შაინახეს თავის საკუთარ ჯიბეში. მამასახლისმა კ—ქმამ გვარად მოითხო ხელი და საზოგადოება კი პირლია დარჩა. თუც მამასახლისს არაფერი არ ეკითხებოდა კანონით მაღაზიაზე, რადგანაც ჩვენ გვყავდა ცალკე აღმორჩეული კაცი, მაგრამ ხომ მოგვხსენებთ სოფლის გამოუცდელ კაცს, როგორ ეშინია მამასახლისის; როგორც სურდა, ეგრე ატრიალებდა ამ საქმეს. შემდგომ თუქცა ის გამოიცვალა და დადგა პირველათვე ნამყოფი ძლიერ პატიოსანი და სინიდისიანი მამასახლისი რ. შრუშაძე, მაგრამ ნათქვამია: „დაღვრილი წყლის აღება არ შეიძლება“; —ვერა გააყწო-რა.

ამ მიზეზის გამო ჩვენს მაღაზიას ბოლო მოეღო და ვერ ვხვდებით მისგან დღეს ვერაფერ სარგებლობას. თუ შრუშაძეს ენერგიულად მოეკიდა ხელი, უეჭველია, კიდევ ფხვზე წამოაყენებდა მაღაზიას, მაგრამ ამანაც გულ-გრილათ მოეკიდა და ჩვენს საზოგადოებაში არ არის ისეთი საზოგადოებისათვის გულშემატკივარი კაცი, რომელიც ურჩევს ხალხს რითიმე გაუმჯობესობას, ყველა თავის საკუთარ საქმეებზე ცდილობს.

ძარგი იქნება, რომ ჩვენი საზოგადოების თავდა-აზნაურები ისურვებდნენ და

მოდგენები ყოფილა ხალხზე; ვისის მეცადინეობით და ანუ ვის წარმოუდგენინებია, ეს ზოგი ზეპირ-სიტყვაობით შემიტყვია, ზოგი ძველის წიგნებიდან და ზოგიც სხვა-და-სხვა წერილებიდან; ზოგიერთი მაშინდელი პიესებიც დღეს ხელში მაქვს.

წარსულს საუკუნეში საქართველო რუსეთს დაუახლოვდა და ხშირად მისვლამოსელაჲ ჰქონდათ. მეფის ირაკლის ჟამს საქართველოდამ რამდენიმე ახალგაზდა პირები, რომლების რიცხვში ერივნენ ღვით ბატონიშვილი, მ. თურქისტანის-შვილი, ღვით ავალოვი, ამათ რიცხვში ყოფილა აგრეთვე სარდალი იოვანე მრბელიანი და სხვა მრავალი, — გაიგზავნენ აქედამ სასწავლებლად და იქ სწავლის ჟამს სამშობლო ლიტერატურისათვისაც ზრუნავდნენ და სწერდნენ ქართულათ; სხვათა შორის ღვით ბატონიშვილმა რუსეთში დასწერა ქართული გრამატიკა, იოვანე მრბელიანმა სთარგმნა მითოლოგია და თურქისტანისშვილმა არისტოტელის სწავლა.

მსენი სწავლის შემდეგ ჩამოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს აქ სამშობლო ქვეყნისა და ხალხისთვის მეცადინეობა; ბევრი რამ სურდათ, რომ შემოეტანათ აქ განათლების სახსრათა: შკოლების გამართვა, ეპტრობისა, საქართველოში სხვა-და-სხვა სახელმწიფოებრივ ელჩების გამოთხოვა, თეოლისში საამართლოების გახსნა და იმერეთის შემოვრთება; ერთის სიტყვით, ბევრს რას-მეზე მოუღალავად შრომობდნენ.

სხვათა შორის, ამათვე მოუწადინებიათ წარმოდგენების გამართვა და პიესების თარგმნა. 1791 წ. ავალოვი შესდგომია კამედიების წერას და დაუწერია ერთი დრამა სახელათ „მეფე თეიმურაზი“ და შეორეც რუსულიდამ უთარგმნია „რქის მატარებელი“, რომელიც 1791 წელსვე წარმოუდგენიათ სამჯერ.

შემდეგ წლებში უთარგნიათ კიდევ შემდეგი პიესები: „ღედა რაყი ფის ქალი“, „სამ მოქმედებიანი კამედია“, რომელიც 1792 წ. წარმოუდგენიათ, სამ მოქმედებიანი კამედია „საჩხუბარი“, რომელიც აგრეთვე წარმოუდგენიათ. ამავე დროს თ. ავალოვს დაუწერია ჩვენი ხალხის ცნოვრებიდამ ორ მოქმედებიანი კამედია „მგრი და უხვი“, რომელშიაც გამოხატულია ძუნწისა და უხვის საუბარი და მეტის-მე-

ურჩევდნენ საზოგადოებას; რომელიც კამედიაში საგნით გააუმჯობესონ თავის საზოგადოება. თუქცა თავად-აზნაურთ არა ეკითხვის სოფლის გლეხების და მათი ყრილობისა, მაგრამ მაინც საჭიროა მიიღონ ამ საქმეში მონაწილეობა და ურჩიონ ხალხს, რომ საზოგადოებისათვის საჭიროა ამნაირი საშუალება...

საჭიროა კიდევ, რომ საზოგადოებამ მოსთხოვოს მაღაზიის სრული ანგარიში უფ. მაღაზიის მომვლელებს 1870 წლიდამ.—

მამათელი გლეხი.

## უცხო ქვეყნები

### ბერმანია

ბერლინის კორრესპონდენტი გაზეთის „ღელი ნეუსისა“ შემდეგ ტელეგრამას იწერება ამ გაზეთში:

„სარწმუნო წყაროდამ შევიტყე მე, რომ ამ უკანასკნელ დროს რუსეთისა და ბერმანიის იმპერატორებს შუა ხშირი მიწერ-მოწერა გამართულა, სხვათა შორის, ბერმანიის იმპერატორს მიღველმს მიუწერია იმპერატორს ალექსანდრესათვის, რომ არც ის და არც იმის

ტი მშენიერებაც არის; შემდეგ უთარგმნიათ კიდევ ორ მოქმედებიანი კამედია „შბნობა მკედართა.“ შეელა ამ პიესებს „ძუნწი და უხვი“ გარდამეტებით სჯობია და საინტერესოც არის: ამაში მდიდარსა და გლახს ასაუბრებს და უხატავს ხალხს—თუ როგორ იყო მაშინ ჩვენში გლეხი ხალხი თავადებისგან დევნილი და დატანჯული.

ამ წარმოდგენებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაშინდელს ხალხში ისე, რომ დაუწყვიათ თხოვნა, რომ კიდევ „ასახის-მეტყველეთო,“ და შემდეგ ბევრჯერაც წარმოუდგენიათ.

წარმოდგენებში მიუღიათ მონაწილეობა შემდეგთ პირთა: ღვით ბატონიშვილს, თურქისტანისშვილს, ავალოვს, მამაზ მნდრონიკაშვილს, ბიორგი მეფის შვილებს და ირაკლი ბატონიშვილის ქალებსა და ავალოვებისასა. მს გვარები მე აღმოვიკითხე ერთს ზემოხსენებულ პიესის მოქმედთ პირებთ რიცხვში.

(დახასრული შემდეგში)



მემკვიდრე თავის დღეში არ ასტეხენ ომს რუსეთთან.

ბერმანის პარლამენტში მოლაპარაკება არის ამჟამად მმართველობის ახალს კანონ-პროექტზე, რომლის ძალ-ითაც ხაზინამ უნდა შეიყიდოს ბერმანის ყველა რკინის გზები კერძო კაპიტალისაგან.

ოსმალეთი

შრთს ფრანკო-ტურკულს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 30 დეკემბრისთვის სტამბოლიდან მიღებული:

„აქ დაჰყარეს ხმა, რომ ვითომც ხონთქარმა მინისტრის ადგილი შეაძლია მითხად-ფაშასა; მაგრამ მითხად-ფაშას ვითომც ეპასუხოს, მე მხოლოდთიმ შემთხვევაში დაეთანხმდები მინისტრობა ეიკისრო, თუ ოსმალეთის პარლამენტი (ხალხის წარმომადგენელთა პალატი) ხელახლად იქმნება მოწვეულიო. ამბობენ, ხონთქარმა უარ-ჰყო ამაზე.

ბანსხალეზანი

ქალაქის გაგებობისაგან

თფილისის ქალაქის გაგებობა

(შპრავა) ამით აცნობებს თფილისის 1 და 2 გილდიის ვაჭრებსა, რომ, თანახმად ქალაქის რჩევის 1879 წლის 5 ნოემბრის გარდაწყვეტილებისა, ამით ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ დანიშნული გილდიის მოწმობის ფული უნდა წარადგინონ ვაჭრების შპრავის (ქუპეჩესკის შპრავის) სადგომში (სომხის ბაზარი, დიდი ტალახიანი ქუჩა, ისტამანოვის სახლი).

(3-1)

„პირუტყვთა დამცველ თფილისის საზოგადოების“ წევრი მოიწვევიან რათა მობრძანდნენ კრებაზედ ამ ნოემბრის 20, საღამოს 7 1/2 საათზე სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, აღექსანდროვის ბაღში. წევრებს გარდა შეუძლიანთ აგრეთვე მოსვლა ყველა გარეშე პირთაც, რომელნიც საზოგადოების მიზანს თანაუგრძნობენ (3-1)

პარასკევს, 16 ნოემბერს,

თფილისის ქალაქის რჩევის ზალაში

გ. ბ. კავლოვი

„პირუტყვთა დამცველის თფილისის საზოგადოების“ სასარგებლოდ წაიკითხავს პუბლიკურ ლექციას

„ქაისის ზნეობით დამოკიდებული გაზედ პირუტყვთა“

პროგრამა ლექციისა: პირველად გაჩენილი პირუტყვები.—პირუტყვის ბედი ადამიანისაგან შეცოდების შემდეგ.—ჩვენი ზნეობითი მოვალეობა პირუტყვების შესახებ.—მომავალი ბედი პირუტყვებისა.

ბილეთის ფასი—ერთი აბაზია ბილეთების ყიდვა შეიძლება ჯანჯულაზოვის მაღაზიაში და ქელბერის კანდიტერსკში.

ლექცია დაიწყება 7 1/2 საათზე.

ყვავილი ქაი ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურველს შეუძლია თვისი ადრესი დასტოვოს „დროების“ რედაქციაში.

ქალაქის გაგებობისაგან

თფილისის ქალაქის გაგებობა გამოიხმობს მსურველთ მიიღონ თავის თავზედ იჯარით:

1) აშენება დროებითი ხის საეაქრო სახლებისა ქახეთის მადანზედ, ავლაბარში, და რუსის ბაზარში, და

2) გარდაკეთება და დაშენება ქალაქის სახლისა, რომელიც არის საპიორისა და პატარა მოდოვოზნის ქუჩების კუთხეში.

ამ იჯარის აღების მსურველთ შეუძლიანთ გამოცხადდნენ ვაჭრობაზედ, რომელიც იქნება ქალაქის შპრავაში ამ ნოემბრის თვის 15-ს, ხუთშაბათს, 12 საათზედ.

ვაჭრობა სიტყვიერად იქნება და საქმე აქვე გარდაწყდება; ხელ-მეორედ ვაჭრობა აღარ დანიშნება; შეიძლება მსურველმა კანკერტში დაბეჭდილი განცხადებაც შემოიტანოს.

მსურველს შეუძლიანთ ორივე ეს საგანი ერთად აიღოს იჯარითა და ან ერთი რომელიმე.

პროექტის, სმეტისა და პირობების ნახვა შეიძლება შპრავაში მუდამ დღე (დღესასწაულებს გარდა) დილის 10 საათიდან ვიდრე ნაშუადღევს 2 საათამდინ. (3-2)

ქნიაზი იოანე ქოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი აუწყებს საზოგადოდაცნობად, რომ სავაჭრო სახლი წოდებით „ქნიაზ იოანე ქოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი და ძ.“ შედის მოქმედებაში 1-ს ნოემბერს ამა 1879-წლისას.

ქანტორა სავაჭრო სახლისა იხსნება ქ. თფილისის, რუსის ბაზარში, სახლი № 10.

Table with multiple columns: რკ. გზა, დილა, საღამ., II კ., III კ., ტელეგრაფი, მან. კაბ., მან. კაბ., თფილისის სამკურნალო. It contains various numerical data and text entries related to telegrams and medical services.